სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივლისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/66

2025-2026 სასწავლო წელს ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ ბსუ-ს მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №129 დადგენილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 13 თებერვლის N17 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის **„განათლების მეცნიერებების“** ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დადებული **2020 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულების და 2025 წლის 17 ივლისს დადებული ახალი ხელშეკრულების,** ,,ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებების“ დამტკიცების შესახებ” **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/37 დადგენილების (ცვლილება** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/127 დადგენილებით), ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ,,განათლების მეცნიერებები“ სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის N07-01/103 გადაწყვეტილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/05, 08.07.2025) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 25 0000841762, 08.07.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. 2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე მოქმედ თსუ-ს, აწსუ-ს, ბსუ-ს და თესაუ-ს ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“, **ბსუ-ს მისაღები კონტინგენტი** განისაზღვროს **3** (სამი) **ადგილით**.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაშს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**